სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო (დაკრძალვის) ხარჯების დაფარვის პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული) სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ხარჯების დაფარვა.

მუხლი 2. სამიზნე ჯგუფი

პროგრამით მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენს ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული) "სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ" საქართველოს კანონის 1-ლი მუხლით განსაზღვრული კატეგორია.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების პერიოდი

პროგრამის განხორციელების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. განხორციელების მექანიზმები

1."სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია დაფარავს სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო (დაკრძალვის) ხარჯებს, დაღუპულზე (გარდაცვლილზე) 300,00 (სამასი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით, გარდაცვლილის ოჯახის წევრის მიერ შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში:

ა)შუამდგომლობა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურიდან;

ბ)განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ)გარდაცვალების მოწმობის ასლი;

დ)გარდაცვლილი ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე)განმცხადებლისა და დაღუპულის (გარდაცვლილის) ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ვ)განმცხადებლის ბანკის ანგარიშის ნომერი დამოწმებული ბანკის ბეჭდით.

2.პროგრამით გათვალისწინებულია 10 შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს მიზნობრივი ტრანსფერი.

ბიუჯეტი	3 000,00 ლარი
I კვარტალი	900,00 ლარი
II კვარტალი	900,00 ლარი
III კვარტალი	900,00 ლარი
IV კვარტალი	300,00 ლარი

მუხლი 6. პროგრამის შედეგი

სარიტუალო ხარჯების დაფარვა გარდაცვლილზე 300,00 (სამასი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით.

მუხლი 7. პროგრამის შემდგენი და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.

ნინო ქვირია

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური
მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელი